პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 იანვარი პარასკევი 1971 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 18 (14928)



ღირსეულად შევხვდეთ ჩვენი პარტიის ყრილობას

მაღალი ტემპი, საუკეთესო ხარისხი

ახალი მილების წარმოება დაიწყო

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს „დგან—400"-ის კოლექტივმა ამ ტიპის ავტომატ დგანებზე საბჭოთა კავშირში პირველად აითვისა ახალი პროფილის 377-მილიმეტრიანი დიამეტრის მილების გლინვა. პირველმა ცდამ წარმატებით ჩაიარა და უკვე შეუდგნენ მილების მასობრივ გამოშვებას. ამ დიამეტრის მილებზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში. მას იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში — განსაკუთრებით ნავთობის მრეწველობაში. სწორედ ამან შთააგონა ქართველ სპეციალისტებს ამ პროფილის მილების წარმოებაში დანერგვის აუცილებლობა.

ახალი პროდუქციის გამოშვების ორგანიზატორი და სულის-ჩამდგმელია ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი პ. წერეთელი.

ქართველ მეტალურგებს ხანგრძლივი, შრომატევადი სამუშაოების შესრულება მოუხდათ, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. მათ გამოიყენეს იარაღის დაკალიბრების სრულიად ახალი მეთოდი, შეიცვალა საგლინავი ინსტრუმენტები, დაინერგა ჯერ-ინვის ახალი ტექნოლოგიური პროცესი და სხვ. მგლინავებმა ეს ახალი გამოჩენა სკკპ XXIV ყრილობას მიუძღვნეს.

მწყობრში ჩადგნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მერვე ხუთწლედში კარგად იმუშავეს ჭიათურელმა გვირაბმშენებლებმა. მათ მწყობრში ჩააყენეს ახალი ითხვისის, რგანისა და ზედა რგანის ახალი მაღაროები, რომელთა წლიური წარმადობა 400 ათასი ტონა მარგანეცია.

დიდი სამუშაოები შესრულდა ახალი ითხვისის მეორე რიგის მაღაროს მშენებლობაზე. აქ გაიყვანეს 1.826 გრძივი მეტრი გვირაბი, აშენდა მძლავრი ვენტილატორი, საკომპრესორო, ელექტრო და წყვის ქვესადგურები. მარტო გასულ წელს ამ მშენებლობაზე 1.425 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ახალი მაღაროების მშენებლობაზე თავდადებულად იმუშავეს სამშენებლო-სამონტაჟო უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც ჯ. თათარიშვილი, ლ. ბუღაძე, ა. ზაქარაშვილი, ა. კვიციანი, კ. კეკენაძე, ი. ხვედელიძე, დ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობენ. მამაცურად შრომობენ მ. სარალაძის, რ. ზუბიაშვილის, ს. აბესაძის, ჯ. კუპატაძის, ჰ. სუკაჩის კომუნისტური შრომის ბრიგადები. ისინი წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგანან.

პირველი საექსპორტო შეკვეთა

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმელმა გემმშენებლებმა ალმავლობით დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. მათ ვალდებულება იკისრეს ექსპორტის პირველი კვარტალის გეგმა 20 მარტისათვის შესრულონ, დაზოგონ 2 ტონა ლითონი, 10 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. პირველი საექსპორტო დაკვეთა ვადამდე შესრულდა. ბულგარეთში გაიგზავნა წყალქვეშაფრთიანი ლიმუზინი.

წელს საწარმოს კოლექტივმა უნდა შექმნას ახალი ტიპის წყალქვეშაფრთიანი კატარღა.

საბჭოთა კავშირში

შეხვედრები, საუბრები

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის დელეგაცია მოსკოვში

18-21 იანვარს მოსკოვში იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის დელეგაცია კომისიის თავმჯდომარის მილოშ იაკუშის მეთაურობით.

ჩეხოსლოვაკიელი ამხანაგები გაეცნენ სკკპ პარტიული კონტროლის ორგანიზაციის და სარევიზიო მუშაობის გამოცდილებას. ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს ა. ი. პელშეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ი. ვ. კაპიტონოვს, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს გ. თ. სიზოვს, აგრეთვე ჰქონდათ შეხვედრები და საუბრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში. დელეგაციის წევრები ეწვივნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს, სადაც ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ვ. გრიშინს.

21 იანვარს დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

◆

ბრატსკის პირველი მილიარდი

ბრატსკი, 20 იანვარი. (საკ-დესის კორ.). ღღეს ბრატსკის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურმა დამთავრა ახალ წელს პირველი მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავება.

ბრატსკის ენერგეტიკოსები ესწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას და აკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი 1971 წლის პირველი კვარტალისათვის. გადაწყვეტეს, ჰიდროელექტროსადგურის მარგი მოქმედების კოეფიციენტი გაზარდონ ერთი პროცენტით გასული წლის პირველ კვარტალში მიღწეულთან შედარებთ, ამოცანად დაისახეს აგრეთვე შეამცირონ ელექტროენერგიის თვითღირებულება და მისი ხარჯები საკუთარი საჭიროებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატი

სოფლის სიამაყე

მევენახე ქალიშვილი

ვაზის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ის არის ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელი იზოლდა დავითის ასული მელაშვილი.

იზოლდას სიტყვა და საქმე ერთია. შარშან ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ცხრა ჰექტარიდან თვითეულზე გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერის ნაცვლად 55 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ალექსანდრეული ჯიშის ყურძენი მიიღო.

ზამთრის ამ მკაცრ დღეებშიც კი წესელი ქალიშვილი რიონის ნაპირას დილიდანვე ვენახში ტრიალებს. შეაქვს სასუქი, ქვებისაგან ასუფთავებს ვაზის ძირებს. მასთან ერთად ვენახში თავდადებით შრომობენ ბრიგადის წევრები ნინო ჯანგიძე, ქეთო მელაშვილი, ვახტანგ მელაშვილი.

მათ იკისრეს ზვრებში სიმეჩხრის სრული ლიკვიდაციით, ვაზის საუკეთესო მოვლით ამთავითვე საფუძველი ჩაუყარონ ყურძნის უხვ მოსავალს და მამაცური შრომით კვლავ ასახელონ დედა-სამშობლო.

ბრიგადირი, ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატი იზოლდა მელაშვილი ამბროლაურელმა კომუნისტებმა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

იზოლდა მელაშვილი და მისი ბრიგადის წევრები მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის პირველი დღეებიდანვე მამაცურად შრომობენ და ყველას მაგალითს უჩვენებენ იმისას, თუ როგორ უნდა უხვი მოსავლისათვის ბრძოლა.

ა. გოცირიძე.

სურათზე: იზოლდა მელაშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამსვლელი პლენუმი თელავში

თელავი. 21 იანვარი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). ღღეს აქ, პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ თელავისა და კახეთის მეზობელი რაიონების მოწინავე ადამიანები, საკოლმეურნეო შრომის მოწინავენი. აქ არის ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი. თელავში ჩამოვიდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონების საკოლმეურნეო სოფლის გამოჩენილი ადამიანები.

დარბაზში არიან პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ე. შანშაშვილი, პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ზაუტაშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მ. ორგანელიძე, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ფიშლიძე, სოციალისტური შრომის გმირები თელავის რაიონიდან ნ. ძვეხიშვილი, გ. შამაძე, კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სამიგი ხარისხის დიდების ორდენის კავალერი ბ. მბილიშვილი, ცნობილი ქისტაურელი მებაღეშვილი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ო. აიმაზაშვილი და ბევრი სხვა, რომელთა მარჯვენით იქმნება სახალხო დოვლათი, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ საკოლმეურნეო შრომით წარმატებასა და აღმავლობაში.

ისინი აქ მოვიდნენ, რათა ქართველ მწერლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მწერალთა კავშირის გამსვლელი პლენუმის მუშაობაში. პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — თანამედროვე ქართული სოფელი და ქართველ საბჭოთა მწერალთა ამოცანები, — შესაფერი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ბ. აბაშიძემ.

ქართველ მწერლებთან და საკოლმეურნეო სოფლის წარმომადგენლებთან ერთად პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართული კულტურის ცნობილი წარმომადგენლები. აქ არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი სერგო ზახარიაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, საქართველოს ფილარმონიის საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე და სხვ.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ს. ჭილაია. მომხსენებელმა მოკლედ მიმოიხილა ქართველი მწერლების მნიშვნელოვანი წვლილი საკოლმეურნეო ცხოვრების აყვავების საქმეში, განიხილა ის ნაწარმოებები, რომლებიც ქართველმა მწერლებმა გლეხკაცის შრომისა და ცხოვრების ჩვენებას მიუძღვნეს, და, ბოლოს ქართველი მწერლების ერთერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნია ლიტერატურულ ნაწარმოებებში ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სასახელო საქმეების სრულყოფილი და მაღალმხატვრული ასახვა.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა კ. ლორთქიფანიძემ, პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბატიაშვილმა, პოეტმა კ. კალანდაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა მ. ორგანელიძემ, პოეტმა-დრამატურგმა მ. ბარათაშვილმა, მწერალმა-აკადემიკოსმა დ. შენგელაიამ, სოფელ ნაფარეულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ხოლუაშვილმა, პოეტებმა ხ. ბერულავამ, ჯ. ჩარკვიანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ფლენტმა, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. კუბალიამ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანმა, პოეტმა ივ. თარბამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანკვაძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ დ. ჩხეიძეშვილმა.

ეს დღეები სოფლად

სად როგორ ემზადებიან სკკპ-ზე

● **უვარელი.** („კომუნისტის" კორ.). **რაიონში გეგმით სიმინდის თესლი საჭიროა 1.660 ცენტნერი, ფაქტიურად მზად აქვთ 2.675 ცენტნერი. პარკოსანი მარცვლეული კულტურების დასათესად უკვე მოიმარაგეს 492 ცენტნერი თესლი, რაც გეგმის 361,7 პროცენტს შეადგენს.**

კარგად მუშაობენ მექანიზატორები. მათ მზად აქვთ 36 ტრაქტორი ნაცვლად გასული წლის მეოთხე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 25 ტრაქტორისა.

● **წყალტუბო,** (საკ. კორ.). „საქსოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანების კოლექტივმა ვადაჯარბებით შეასრულა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის გასული წლის დავალება. გეგმის გადამეტებით შეაკეთეს 13 ტრაქტორი, 2 სატრაქტორო ძრავი და 10 საწვავის ტუმბო, ამასთან მეოთხე კვარტალში 1.300 მანეთით გადააჭარბეს დეტალების აღდგენის დავალებას.

ახლა კი წყალტუბოელი მექანიზატორები ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXIV ყრილობას. ამ მიზნით ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება და პირობა დადეს პირველი კვარტალის დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე — 1 მარტისათვის შეასრულონ. იანვარში აქ გეგმის მიხედვით 8 ტრაქტორი უნდა შეაკეთონ. მარტო პირველ სამუშაო კვირაში შეკეთებიდან გამოუშვეს 5 ტრაქტორი.

წინასაყრილობო შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ მამა-შვილი ელექტროშემდუღებელი და ზეინკალი ვარლამ და გივი კიზირიები, ძრავების შემკეთებლები ჯემალ ღაბავა და ამირან ანღრიაძე.

● **აბაშა.** („კომუნისტის" კორ.). სიმინდის დასათესად წელს საჭიროა სულ მცირე 2.614 ცენტნერი თესლი. მაგრამ რაიონის მზვნელმთესველები ამას როდი დასჯერდნენ. მათ შექმნეს სათანადო მარაგი და გეგმის გადამეტებით კონდიციური თესლი აქვთ 1.683 ცენტნერი.

პირობის შესასრულებლად ბეჯითად მუშაობენ აბაშელი მექანიზატორები, რომლებმაც რემონტი გაუკეთეს 19 ტრაქტორს ნაცვლად 15 ტრაქტორისა.

● **ჩხოროწყუ.** („კომუნისტის" კორ.). **წელს სიმინდის დასათესად რაიონში საჭიროა 1.221 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თესლი. ამ დავალების შესასრულებლად დროულად გაჩაღეს მუშაობა დაბა. ჩხოროწყუს ლენინის სახელობის, ხაზუმეს, მუხურისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. ამის შედეგად რაიონში სიმინდის კონდიციური თესლი უკვე აქვთ 1.657 ცენტნერი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე მეტია.**

მექანიზატორებმა გასული წლის მეოთხე კვარტალის ტრაქტორების რემონტის დავალება 125 პროცენტით გაანაღდეს, გუთნებისა — 180 პროცენტით, კულტივატორებისა — 150 პროცენტით. ამჟამად საკოლმეურნეო მინდვრებში სიმინდის დასათესად იხვნება ნიადაგი, იმარაგებენ სასუქებს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციისათვის, მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1971 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საქატიო წოდების მინიჭების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:

1. **აბულაძეს ალექსანდრე გიორგის-ძეს — განყოფილების გამგეს.**
2. **ალიბეგაშვილს არტემ თომას-ძეს — განყოფილების გამგეს.**
3. **ბახტაძეს თინა იოსების ასულს — უფროს ლიტერატურულ მუშაკს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1971 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციისა და სტამბის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბაშარული ელენე მიხეილის ასული — რედაქციის მთავარგმნელი.**
2. **ბინიაშვილი აბრამ მიხეილის-ძე — უფროსი ლიტერატურული მუშაკი.**
3. **გილიგაშვილი თენგიზ გიორგის-ძე — რედაქტორის მოადგილე.**
4. **გულარიძე ვერა სამსონის ასული — კორექტორი.**
5. **კულუმბეკოვი მარიამ ანტონის ასული — მემანქანე.**
6. **მაისურაძე ვახტანგ ილიას-ძე — რედაქტორის მოადგილე.**
7. **მაისურაძე დიმიტრი ანდრიას-ძე — განყოფილების გამგე.**
8. **მამისაშვილი არჩილ ლაზარეს-ძე — გაზეთის რედაქტორი.**
9. **მურადოვა დარია იოსების ასული — განყოფილების გამგე.**
10. **ნადირაძე იასონ იოსების-ძე — საკუთარი კორესპონდენტი.**
11. **ტურაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე — ლინოტიპისტი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1971 წლის 21 იანვარი.

საქართველოს პროფკავშირების სტუმარი

21 იანვარს თბილისში ჩამოვიდა ჩეხიის მელითონეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ფრანტიშეკ იანურა. მოგზაურობაში მას ახლავს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. კოსტიკოვი.

აეროდრომზე ფ. იანურას შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ო. ს. ცანავა, პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. მაცაბერიძე, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. ზ. ცირეკიძე, მანქანათსამშენებლო მრეწველობის მუშათა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. დ. ჯუმბერიძე.

იმავე დღეს ფ. იანურა ეწვია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ა. ფანდერეკი, სადაც ესაუბრნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ბ. ბ. ბერიძე, ესაუბრა საბჭოს. პროფსაბჭოს მდივანმა ო. ს. ცანავამ ტუმბარს უამბო საქართველოს პროფესიული კავშირების საქმიანობის შესახებ. საუბარში მონაწილეობდნენ პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები. (საქდესი).

პარტიის ერთგულება

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ემზადება სკკპ XXIV ყრილობისათვის, პარტიის მებრძოლი თანაშემწე — ლენინური კომკავშირი რაზმავს ახალგაზრდობას საშობლოს სასახელოდ ახალი დიდი საქმეებისათვის. პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში კომკავშირის ამოცანების განხილვას მიეძღვნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი, რომელიც 20 იანვარს გაიხსნა მოსკოვში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სამხედრო ოლქებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტების პოლიტსამმართველოთა უფროსების თანაშემწენი კომკავშირულ მუშაობაში.

მოისმინეს რამდენიმე კომკავშირული ორგანიზაციის ანგარიშები. პლენუმზე გაისმა უზბეკ კომკავშირელთა საბრძოლო პატაკი. რეკორდულად მოკლე ვადებში ამუშავდა თუთიის ქარხანა, დასახულზე ერთი წლით ადრე გამოუშვა დენი ჩარვაკის ჰიდროელექტროსადგურის პირველმა ტურბინამ, მწყობრში ჩადგა დიდი ანდიჯანის ბარი.

შეეხო რა უზბეკეთის კომკავშირის სახელოვან საქმეებს, უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. აბდულავეგამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობა პარტიის ყრილობისათვის დაზოგავს 18 მილიონ მანეთს.

„დაე, საყრილობო ვახტის ყოველი დღე გადაიქცეს დამკვრელური შრომისა და ფრიადზე სწავლის დღედ!" — ასეთია დონბასის კომკავშირის დევიზი. უკრაინის ალკკ დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. აფონინმა დამსწრეთ გაუზიარა მხარის — ლეგენდარული სტახანოვური მოძრაობის საშობლოს სახელოვანი ტრადიციებით მოზარდი თაობის აღზრდის გამოცდილება.

დღის წესრიგის შემდეგ პუნქტზე — „პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი" — პლენუმზე მოხსენება გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ტიაჟელნიკოვმა.

ახლა კომკავშირში თითქმის 400 ათასი პირველადი ორგანიზაცია და 660 ათასი კომკავშირული ჯგუფია. ლენინის საიუბილეო წელს სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში შევიდა 4.300 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მომდინარეობს პირველადი კომკავშირული უჯრედების განმტკიცების აქტიური პროცესი.

ორგანიზაციის ავტორიტეტი და მებრძოლურობა, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, პირდაპირ დამოკიდებულია თვითეული კომკავშირელის აქტივობაზე. ამ მხრივ საინტერესოა გორკის ოლქის კომკავშირის გამოცდილება, რომელიც გახდა ინიციატორი მოძრაობისა „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით".

ე. ტიაჟელნიკოვმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდა შრომის გმირების, ნოვატორების აღზრდა შეუძლიათ მხოლოდ იმ კოლექტივებს, სადაც იციან დამკვრელური, მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთების შექმნა.

პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს თვითეული ახალგაზრდის აღზრდაში ლენინის ანდერძის სულისკვეთებით.

პლენუმზე მოხსენებისა და კომკავშირულ ორგანიზაციათა ანგარიშებს გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. კუპრეიჩი, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. კაპტო, სრულიად საკავშირო ალკკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ნიკოლაევი, ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პოდრეზი და სხვები.

21 იანვარს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი. მისი მონაწილენი განიხილავენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ტიაჟელნიკოვის მოხსენებას „პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი" და მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციათა ანგარიშებს სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის მუშაობის შესახებ (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციისა და სტამბის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბაშარული ელენე მიხეილის ასული — რედაქციის მთავარგმნელი.**
2. **ბინიაშვილი აბრამ მიხეილის-ძე — უფროსი ლიტერატურული მუშაკი.**
3. **გილიგაშვილი თენგიზ გიორგის-ძე — რედაქტორის მოადგილე.**
4. **გულარიძე ვერა სამსონის ასული — კორექტორი.**
5. **კულუმბეკოვი მარიამ ანტონის ასული — მემანქანე.**
6. **მაისურაძე ვახტანგ ილიას-ძე — რედაქტორის მოადგილე.**
7. **მაისურაძე დიმიტრი ანდრიას-ძე — განყოფილების გამგე.**
8. **მამისაშვილი არჩილ ლაზარეს-ძე — გაზეთის რედაქტორი.**
9. **მურადოვა დარია იოსების ასული — განყოფილების გამგე.**
10. **ნადირაძე იასონ იოსების-ძე — საკუთარი კორესპონდენტი.**
11. **ტურაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე — ლინოტიპისტი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1971 წლის 21 იანვარი.

გულთბილი შეხვედრები

ქართველი მწერლები თელავის რაიონის მშრომელებთან

თელავი. 21 იანვარი. („კომუნისტის“ სპეც. კორ. ტელეფონით). გუშინ აქ ჩამოვიდა ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის გრიგოლ აბაშიძის ხელმძღვანელობით. საპატრიოტო სტუმრებს შეხვდნენ პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბატიაშვილი, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მეზვრიშვილი, რაიონის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, შრომის მოწინავე ადამიანები. გულითადი შეხვედრების შემდეგ მწერლები სამ ჯგუფად გაიყვნენ და გაემართნენ რაიონის სოფლებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავიანთ მკითხველებთან, მომავალი ნაწარმოებების გმირებთან.

მწერალთა ერთი ჯგუფი ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ესტუმრა. შეხვედრა, რომელზეც თავი მოიყარეს მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა, გახსნა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ასათიანმა. მან სტუმრებს მოკლედ მოუთხრო მეურნეობის საქმიანობაზე და იმ წვლილზე, რომელიც მეურნეობას შეაქვს რაიონის ეკონომიკაში. შემდეგ სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გ. აბაშიძე. მან დამსწრეთ წარუდგინა ქართველი მწერლები და მათი სახელით მიესალმა მეურნეობის მშრომელ ადამიანებს. საპატიო სტუმრებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ნაფარეულის ღვინის ქარხნის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ქინტიაშვილმა, მეურნეობის აგრონომმა ლ. ფოთოლაშვილმა, მოწინავე მუშამ ო. მოსიაშვილმა.

შემდეგ სიტყვა მიეცა მწერლებს. რ. მარგიანმა, ხ. ბერულავამ, ლ. სულაბერიძემ წაიკითხეს ლექსები. შეხვედრაზე იყო მაჩარაძის რაიონის სოფელ ნატახანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წიოლიძე, რომელიც დამსწრეებს ესაუბრა თავისი სოფლის მშრომელთა მიღწევებზე.

ქარსაფელ მწერალთა მეორე ჯგუფი სოფელ სანიორის კოლმეურნეობას ესტუმრა. სოფლის კულტურის სახლში გაიმართა შეხვედრა ქართველ მწერლებთან, რომელიც გახსნა სანიორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მარგალიტაშვილმა. სანიორის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. გოგინაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ჩვენი სოფელი და ქართველი მწერლები“. სოფლის მშრომელთა სახელით სტუმრებს მიესალმნენ მოწინავე კოლმეურნე ქ. ოსანაშვილი, მემვიდე კლასის მოსწავლე ე. ოსეფაშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ულენტმა დამსწრეთ გააცნო სტუმრები — ქართველი მწერლები და ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აისახება ჩვენს ლიტერატურაში საკოლმეურნეო სოფლის თემა.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ლექსები წაიკითხეს კ. კალაძემ, ა. გომიაშვილმა, ო. ბერეიძემ ჯ. ჩარკვიანმა, ი. თარბამ, ვ. წულუკიძემ, მ. ფოცხიშვილმა, გ. ხუსაშვილმა, შ. ამისულაშვილმა. ქართველ მწერლებს და შეხვედრის მონაწილეებს გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის მშრომელთა სახელით მიესალმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. გოგშელიძე.

ბევრი ხალხი შეხვდა ქართველ მწერლებს რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავში“, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ყალანდარიშვილმა, რომელმაც შეხვედრა გახსნა, სტუმრებს მოუთხრო სოფლის მშრომელთა წარმატებებზე. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს რუისპირის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. დემეტრაშვილმა, მოწინავე კოლმეურნემ დ. ძამუკაშვილმა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები. შემდეგ გამოვიდნენ სტუმრები — ქართველი მწერლები. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი, გ. ციციშვილი, მ. ბარათაშვილი, რ. ჯაფარიძე, გ. გოგიჩაშვილი, თ. გაგლოევი-გაფეზი, გ. კაჭახიძე, ნ. გურეშიძე.

ჩვენი ინტერვიუ

ლაკარაკობენ პლენუმის მონაწილენი

გ. აბაშიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი

საქართველოს მწერალთა კავშირის გასვლითი პლენუმი პირველად ეწყობა. საყურადღებოა, რომ იგი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიც არის „ქართული საკოლმეურნეო თემის ასახვა ლიტერატურაში“. ამ თემაზე შექმნილია ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომლებშიც მრავალმხრივ არის ასახული საქართველოს კოლმეურნე გლეხობის შრომა და საქმიანობა. დარწმუნებული ვართ, რომ ამჟამინდელი შეხვედრები თელავის რაიონის მშრომელებთან, საქმიანი საუბაასი, რომელიც პლენუმზე გაიმართება, ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო თემაზე ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნას. ჩვენი დღევანდელი პლენუმი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ იგი ეწყობა იმ დღეებში, როცა ჩვენი ხალხი ემზადება სკკპ XXIV ყრილობისათვის და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის.

კ. ლორთქიფანიძე

მწერალი, გამოცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი

მეოთხედი საუკუნე გავიდა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეებიდან და ჩვენს მიწას კი ის სასჩლი დავიწყებისათვის არ მიუცია. შინმოუსვლელთა ხეივნები ხარობენ, დალუპულ გმირთა სახელები ცოცხლობენ. ომ გმირთა სახელებს დიდებით მოსავს ხალხის მეხსიერება. როცა გმირობას ვამბობთ, ნალმების აფეთქების ხმა ჩაგვესმის, მაგრამ აქვე ჩვენს გვერდზე, მეზობლად, უზარზეიმოდ, მოკრძალებულად ცოცხლობს გმირობა— შრომის გმირობა. კაცი მშრომელი, მეურნე — ეს არის ჩვენი წინსვლის საწინდარი, ყველა მწერლის შემოქმედების წყარო, ლექსის სათავე, წიგნის დედა. სოფელი ღონიერია, და თუ მწერლის სტრიქონში ძალა და შთაბეჭდილება მოიპოვება, ეს ისევ მშრომელი გლეხის, კოლმეურნე კაცის მადლია. ქართული ლიტერატურა სოფლის მშრომელის დიდ ვალშია, სოფელი ეს არის თემა, აღმაფრენა, და ვინც ჩახვედა სოფელს, მისი სურნელი შეიგრძნო, იმის კალამს დაჩლუნგება არ უწერია. ვაშა სოფლის მშრომელებს, მათს დიდ სიყვარულს მიწისადმი, გარჯისადმი, მოყვასისადმი, წიგნისადმი...

მ. ორაგველიძე

სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ქართველი მწერლობა ყოველთვის იყო ჩვენი კეთილი მეგობარი და მრჩეველი. მოხარული ვარ, მონაწილეობას რომ მიეღებ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში და საშუალება მომეცემა მწერლებს გადავცე ჩვენი რაიონისა და კერძოდ ჩვენი სოფლის მშრომელთა სურვილები.

კახეთის მადლიანი მიწის ბარაქას მუდამ ქმნიდა მარჯვენადალოცული გლეხკაცი. თვალს ახარებს მის მიერ მოვლილი თვალუწვდენი ზვრები. საქართველოს ამ მადლიანი კუთხის მშრომელებთან შეხვედრამ ფრთები შეგვასხა. ურთიერთს გავუზიარეთ ჩვენი მიღწევები, კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. ამ ღონისძიების სიკეთე ისიც არის, რომ ქართველი მწერლების სიახლოვე, მათი რჩევა, ყურადღება კიდევ უფრო ალაგაზებს ჩვენი მეგობრობის საძირკველს. ჩვენის მხრივ კი მომავალში ქვეყნის სამსახურში მუხლს არ მოვიღლით. კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრები, მერმისსაც გამეორებულიყოს ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმები.

გ. შავკაძე

სოციალისტური შრომის გმირი, სოფელ სანიორეს კოლმეურნეობის გვეშენახე

ქართველ მწერალთა ამ ღონისძიებამ დიდად გაგვახარა სოფლის მშრომელები. ეს მართლაც შესანიშნავი, დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენგანისათვის. გავიცინეთ კალმის, სიტყვის ოსტატები, ჩვენი გულისთქმა გავუზიარეთ, მოვისმინეთ მათი აზრები სოფლის შესახებ. დარწმუნებული ვარ — ასეთი შეხვედრები ორმხრივ სასარგებლოა. მწერალი ახლოს უნდა იცნობდეს ცხოვრებას, და მაშინ წიგნი, რომელიც ცხოვრების სიმართლეს ასახავს, ჩვენთვისაც, როგორც ვიტყვით ხოლმე, ხელიელ საგოგმანება გახდება.

ᲓᲘᲓ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ კოლმეურნეობებს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი. ამ საწარმოს მიერ გამოშვებული ათასობით ავტომანქანა მუშაობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები კმაყოფილნი არიან ქუთაისის მარკის ავტომანქანების მუშაობით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერი, სადაც მიმდინარეობს ავტომანქანების „კოლხეთის“ აწყობა.

ფოტო ბ. ᲑᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲡ (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲓᲐ ᲙᲐᲮᲐᲠᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲐ. ᲑᲐᲦᲘ-ᲖᲔᲜᲘᲗᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲜᲘ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲩᲐᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

მსოფლიო დღე

ერთიანობის განმტკიცება

პრაღა. 21 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ჰუსაკის თავმჯდომარეობით პრაღაში გაიმართა თათბირი, რომლის მუშობაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების პირველი მდივნები.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, თათბირზე აღინიშნა, რომ ყველა ტერიტორიული ორგანო და ორგანიზაცია სავსებით უჭერს მხარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

თათბირზე აგრეთვე აღინიშნა, რომ პარტია და საზოგადოებრიობა დადებითად შეხვდნენ იმ პრინციპულობას, რომლითაც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააანალიზა საზოგადოებრივი კრიზისის მიზეზები და პარტია და საზოგადოება გამოიყვანა კრიზისული მდგომარეობიდან.

თათბირზე გამოსულმა გ. ჰუსაკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც. ჯულმოდგინედ იმუშაონ იმაზე, რათა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ხორციელდებოდეს კომუნისტთა ყოველდღიური პრაქტიკულ საქმიანობაში.

□

საყოველთაო მოწონება

პრაღა. 21 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები, ყველა მშრომელი დიდად აფასებენ და აწონებენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე მიღებულ დოკუმენტს „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაკვეთილები“.

პარტიული დოკუმენტი „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაკვეთილები“ ნათელ და სრულ პასუხს იძლევა ბევრ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების პრეზიდიუმთა პალატის თავჯდომარემ ვ. მიბალიმმ. პარტია, რომელმაც განვლო თავისი რიგების გაწმენდის ძნელი, ზოგჯერ მტკივნეული გზა, კვლავ მიმართავს რესპუბლიკის ყველა პატიოსან მოქალაქეს სიმართლის სიტყვებით, თქვა მან.

ჩრდილოეთ მორავიის ოსტრავა-კარვინის აუზის ნუშაკმა, კომუნისტმა იან ფრიშმა ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დოკუმენტი „ყველას აძლევს შესაძლებლობას დარწმუნდეს, თუ რა მოხდა ჩვენში სინამდვილეში და რომელი ძალები ამოქმედდნენ 1968 წელს“. „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, — თქვა მან შემდეგ, — უდიდეს დადებით გავლენას ახდენს როგორც პარტიის წევრებზე, ისე უპარტიოებზე.

ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდების სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარე პ. გიმლი გაზეთი „ლიდოვა დემოკრაციე“ აშუქებს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე მიღებულ დოკუმენტს და აღნიშნავს, რომ 1968-69 წლებში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მემარჯვენე ძალებმა განსაკუთრებით აქტიურად შეუტიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, ამ თავდასხმათა მიზანი, აცხადებს გაზეთი, ის იყო, რომ ჩამოეშორებინათ ჩეხოსლოვაკია სახელმწიფოებისაგან, რომლებთანაც სახელმწიფოებრივი ურთიერთობა აკავშირებს.

ფაქტები, აღნიშნავს „ლიდოვა დემოკრასიე“, კატეგორიულად მოწმობენ, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის განვითარება 1968 წელს საფრთხეს უქმნიდა სოციალიზმის ყველა ძირითად და უმაღლეს ღირებულებას.

დოკუმენტის ანალიზის დროს სლოვაკიის „პრავდა“ ხაზს უსვამს, რომ იგი გვაიძულებს დავფიქრდეთ და გამოვიტანოთ დასკვნები ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის, ამ გაკვეთილებით ვისწავლით, წერს გაზეთი, არა მარტო ჩვენ, არამედ მომავალი თაობებიც, რადგან ისინი ნათლად გვიჩვენებენ, საით მივყავართ ლენინური პრინციპების დარღვევას.

ბელგრადი — ლონდონი

მღელვარება გრძელდება

წუხელ და დღეს დილით ქალაქის კათოლიკურ უბანში ბელგრადში მოხდა ახალი შეტაკებანი ინვალიდის ჯარებსა და ბელფასტის მოსახლეობას შორის. მთელი ღამის მანძილზე აფეთქდა რამდენიმე ბომბი. ვითარება ქალაქში კვლავ უკიდურესად დაძაბულია.

თავიანთი რეაქციული შეხედულებებით ცნობილმა პროტესტანტულმა ლიდერებმა იან პიესლიმ, ე. კრეიგმა, უ. ბიტიმ და სხვებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ გამოიყენონ სიმშვიდის „დამრღვევთა“ წინააღმდეგ საბრძოლველად „სპეციალური რწმუნებათა კანონი“, რომელიც მთავრობას ანიჭებს უფლებას დაამატიმროს ყველა „იეზემიტანალი“ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად.

ირლანდიის კომუნისტურმა პარტიამ (ჩრდილოეთის ორგანიზაცია) სასტიკად გააკრიტიკა განაცხადა, რომ გამოიყენონ ეს კანონი. კომპარტიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ აღლანდელი მღელვარების მიზეზებია ინგლისის ჯარების ყოფნა, უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც მამაკაცთა მოსახლეობის 50 პროცენტს აღწევს, გადაუჭრელი საბინაო პრობლემა.

(21 იანვარი. საკდესი).

ბერლინი — პრეზიდენტის გამოსვლა

ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ, რომელიც გამოვიდა ქალაქ ვალპარაისოში საუბართა ციკლის „სახალხო დისკუსიის დღეების“ გახსნაზე, ილაპარაკა სახალხო ერთიანობის ბლოკის წინასაარჩევნო პროგრამის შესრულების უახლოეს ამოცანებზე.

მან, კერძოდ, აღნიშნა ხალხის ფართო მასების მიერ მთავრობის ღონისძიებათა პროგრამის მხარდაჭერის უდიდესი მნიშვნელობა დასძინა, რომ დასახული გეგმების წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ყველა მშრომელის მონაწილეობით.

პრეზიდენტმა მოუწოდა განამტკიცონ სახალხო ერთიანობის კომიტეტები, რომლებიც უნდა დაეხმარონ მთავრობას ქვეყნის ცხოვრების ყველა საარსებო პრობლემის გადაჭრაში. (21 იანვარი. საკდესი).

ნიუ-იორკი — მშვიდობისა და უშიშროებისათვის

პარაბმა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ეზ-ზაიათმა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა სამახსოვრო ბარათი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე.

ბარათი 15 იანვარს გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ახლო აღმოსავლეთში გ. იარინგს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ნათქვამია სამახსოვრო ბარათში, კვლავ ადასტურებს, რომ სავსებით მზად არის შეასრულოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციიდან გამომდინარე ყველა ვალდებულება. საჭიროა, რომ ისრაელმაც შეასრულოს ამ რეზოლუციით დაკისრებული ყველა ვალდებულება. მაგრამ ისრაელი კვლავ თავს არიდებს მის შესრულებას, ცდილობს უკარნახოს თავისი პირობები.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის აზრით, უშიშროების საბჭომ უნდა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილებანი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, ხელი შეუწყოს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა შეასრულოს თავისი მისია. (21 იანვარი. საკდესი).

ვაშინგტონი — ნინანდელი კურსით

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მ. ლეირდმა გუშინ პენტაგონში გამართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მისი მოგზაურობის შედეგებს. ლეირდის გამოსვლა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ აშშ კვლავინდებურად იმედს ამყარებს ინდოჩინეთში კონფლიქტის საომარ გადაჭრაზე.

თავდაცვის მინისტრმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო სარდლობას საიგონში „აქვს უფლება ყველაფერი იღონოს, რათა დაიცვას სამხრეთ ვიეტნამში დარჩენილი ამერიკის ჯარები“. როგორც ვიცით, სწორედ ამ საბაბით აშშ არათუ აჭიანურებს საომარ მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამში, არამედ ავრცელებს მას ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სხვა ქვეყნებზე.

თავდაცვის მინისტრმა კვლავ დაადასტურა, რომ აშშ კვლავ საესებით დაუჭერს მხარს თვითმფრინავებით სამხრეთ ვიეტნამის ჯარებსა და ჭნომპენის რეჟიმის ქვეგანაყოფებს. ამერიკის საავიაციო ძლიერებას, ხაზი გაუსვა მან, გამოიყენებენ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ყველა ქვეყანაში“, მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, ვურჩევ გამოიყენონ საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ძლიერება „კამბოჯაში“, — განაცხადა ლეირდმა.

ასეთი მოქმედება ემყარება „პრეზიდენტ ნიქსონის დოქტრინას“, ხაზგასმით აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

შეეხო რა „ვიეტნამიზაციის“ პროგრამას, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო იქნება „დროის მნიშვნელოვანი პერიოდი“. ვიეტნამიზაციის პოლიტიკის აზრი, როგორც ლეირდის სიტყვებიდან ჩანს, არის ის, რომ ვიეტნამის ომის ტვირთი დაეკისროს საიგონის არმიას სამხრეთ ვიეტნამში განლაგებული ამერიკის შეიარაღებული ძალების სრული კონტროლითა და სამხედრო მხარდაჭერით. (21 იანვარი. საკდესი).

ჰავანა — თვითნებობა და ტერორი

გვატემალაში ჩაიდინეს მორიგი დანაშაული: მიმავალი მანქანიდან გასროლით მოკლეს პროფესორ ალბერტო ტერეონ დე ბესუს ოლივა. ტერესო ფე ბესუსი მოკლეს იმ მომენტში, როცა ეკლესიიდან გამოდიოდა ცოლისა და ბავშვის თანხლებით, გვატემალის პრენსა ლატინას სააგენტოს ჟურნალისტი გვატემალის დედაქალაქიდან.

პოლიციის ცნობაში აღნიშნული იყო, რომ მკვლელობა ჩაიდინა ორმა „უცნობმა“, თუმცა ტერორისტები დიდი ხანია ცნობილი არიან. ხელისუფალთა მფარველობით პროფაშისტური ორგანიზაციები „მანო“ და „ნოა“ აწყობენ მუშათა, გლეხთა და სტუდენტთა ხელმძღვანელების მკვლელობებს. არმია და პოლიცია დევნიან, აპატიმრებენ და აწამებენ დემოკრატიულად განწყობილ მოქალაქეებს. ამათ, ვინც უკმაყოფილია ქვეყანაში დამყარებული პოლიციური რეჟიმით, საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიან.

მთავრობის ჯარები სარგებლობენ საალყო წესებით, რომელიც პრეზიდენტმა შემოიღო მარტის 14 ნოემბერს, და პოლიციის მონაწილეობით აწყობენ მასობრივ ჩხრეკას. (21 იანვარი. საკდესი).

ბელგრადი — ოთხეულური გამოსვლა

სს-ის ჯარების ყოფილი გენერლის ლამეროდინების დაკრძალვა, რაც დიუსელდორფში გაიმართა, გადაიქცა სს-ელთა უდიდეს თავყრილობად ომის შემდეგ, იუწყება ადენ საარბინტო. ლამეროდინებს დანაკუალი მიუძღვნეს საფრანგეთის მფლიდობიან მოქალაქეთა მასობრივ დახოცვაში მეორე მსოფლიო ომის დროს.

ომის შემდეგ საფრანგეთის სასამართლომ ორჯერ მიუსაჯა მას სიკვდილი, მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ საბოროდ არ ცნო გადაეცა მკვლელი საფრანგეთის ხელისუფალთათვის.

ყოფილ სს-ელთა სიტყვები დაკრძალვის დროს სს-ის „რაიხის“ დივიზიის ბორტმეშქმედების მსხვერპლთა ხსოვნის შებილწვა იყო. სწორედ ამ დივიზიას ედგა სათავეში ლამეროდინგი. დამნაშავის ანგარიშზეა ტიულსა და ორადურში დახოცილი 700-ზე მეტი მამაკაცი, ქალი და ბავშვი.

სამგლოვიარო მსვლელობაში დიუსელდორფის ჩრდილოეთის სასაფლაზე მონაწილეობდა 200-ზე მეტი ყოფილი სს-ელი, მათგან ორი „ხმლებითა და ბრილიანტების შემკული რაინდის ჯვრით“ დაჯილდოებული ჰიტლერის მიერ, აგრეთვე ფაშისტური რაინდის ჯვრის 18 „კავალერი“. ლამეროდინის კუბოს უკან მიჰქონდათ ამ დამნაშავის ნაცისტური ორდენები.

მისი საფლავი შეამკეს გვირგვინებით, რომლებზეც იყო სს „რაიხის“ და „მკვდარი თავის“ დივიზიების, „სს-ის ჯარებისა და ჯარისკაცთა ფედერალური კავშირის“ ორგანიზაციის ლენტები. (21 იანვარი. საკდესი).

ჰავანა — თანამედროვე ტერორიზმი

**ბოლივიაში ჩამოვიდა ორმოცი ადამიანისგან შემდგარი ბულგარეთის ტურისტული ჯგუფი. ბულგარელ ტურისტებს ბოლივიის ხელისუფლებამ ბანაკი ადგილზე ააშენებინა ანდეს მთებში, ბოლივიელ ინჟინრებთან ერთად ბულგარელ ტურისტებს ბანაკი ააშენეს

საქართველოს ამა-ბარეში

ქუჩის გაზეთი

„მე გახლავართ რესპუბლიკის გაზეთების მეგობარული ოჯახის უმცროსი წევრი და „ცნობის ფურცელი“ მქვია“...

ამ სიტყვებით აუწყა მკითხველს თავისი დაბადება საქართველოში პირველმა და ჯერჯერობით ერთადერთმა სარეკლამო-საინფორმაციო ყოველკვირეულმა გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ (რედაქტორი ს. ხარაზიშვილი), რომლის პირველი ნომერი მიმდინარე წლის 20 იანვარს გამოვიდა.

ნომერი, რომელშიც ბევრი რეკლამაა, ინფორმაცია და განცხადებაა, კარგად არის გაფორმებული და ილუსტრირებული.

„ცნობის ფურცელი“, რომელსაც გამოსცემს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, „დიდ დახმარებას გაუწევს რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის ორგანიზაციებს, ვაჭრობის მუშაკებს პროფუქციის რეალიზაციისა და რენტაბელობის მიღწევის საქმეში.

მწყემსთა სიხარული

ხიდი პირიქით ალაზანზე

მთებს ხშირად ნისლის სქელი საბურველი მოსავს. ზოგჯერ მოსარკული ცის სიახლოვეს კამოიკვეთებიან ხოლმე დარღვლოს, ჩიღოს, კვალოს მთები. იქ დიდებული მთათუშეთია — არწივთა საბუდარი.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მზის ნათელით გასხივოსნებული, ცად აზიდული მთები, მის კალთებზე შეფენილი ციხე-კოშკები, გმირთა ნატერფალი, ვისაც მოუსმენია მწყემსის ტკბილი სიმღერა, მას ხშირად გაუწევს გული მთების სამეფოსკენ, რათა ერთხელ კიდევ დატკბეს ბუნების ამ სწორუპოვარი სილამაზით, — კლდეებზე დაქანებული ჩანჩქერების, შმაგი მდინარეების, მთებს შეფენილი ცხვრის ფარების ცქერით.

მაგრამ უგზოობისა და ალაზანზე ხიდის უქონლობის გამო მთათუშეთში მგზავრობა გაძნელებულია.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოუბრუნებია უკან აბობოქრებულ ალაზანს მთის სტუმარი, ვინ მოთვლის, რამდენს დარჩენია ოცნებად მთათუშეთის ხილვა.

და აი ამას წინათ ხიდი გაიდო მთებს შორის მდინარე ალაზანზე. ლამაზმა ხიდმა შეაერთა ერთმანეთთან ომალო და დართლო.

ახმეტის სატყეო მეურნეობის დირექციამ მოუმზადა ეს საჩუქარი მთის მცხოვრებთ, მთის სტუმართ.

წელს პირიქით ალაზანზე კიდევ გაიდება ასეთივე ხიდი. ერთმანეთს დაუკავშირდება შენაქო და ომალო. თუშეთის ალაზანსაც ესტუმრებიან ხიდის მშენებლები.

გაზაფხულზე, როცა ნაზი ბალახითა და ათასფერი ყვავილებით მოიჩითებიან მთები, ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ცხვრის ფარა კვლავ ეწვევა მთათუშეთს.

და როცა თეთრი ქარავანი მშვიდად გაივლის მთებს შორის დაკიდულ ხიდზე, მეცხვარეები დალოცავენ იმ ადამიანთა მარჯვენას, ვინც ასე სძლია მთიდან დაქანებული მდინარე.

ლ. ესართია.



ჩვენს კურორტებზე

ახლა აჭარის შავი ზღვისპირეთის კურორტებზე კვლავ ბევრი ხალხია. სრული დატვირთვით მუშაობენ სანატორიუმები „აჭარა“, „ჭობულეთი“, „კოლხეთი“. დიდძალი დამსვენებელი ჰყავს მწვანე კონცხს — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ციმბირიდან, ურალიდან, უკრაინიდან და სხვ. სურათზე: კურორტ მწვანე კონცხის სანატორიუმ „აჭარის“ დამსვენებლები.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქ. ლ. უშინსკის პრემია — ქართველ მეცნიერს

სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიაკუთვნა პრემიები პედაგოგიკის მეცნიერების დარგში 1970 წლის საუკეთესო ნაშუშევრებისათვის.

დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის სახელობის პირველი პრემია მიენიჭა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ დ. ო. ლორთქიფანიძეს ნაშრომისათვის „ეან ამოს კომენსკი“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა 1967 წელს და მოსკოვის გამომცემლობა „პედაგოგიკამ“ — 1970 წელს. (საქდესი).

მეღალი ჯილდო პარტიზანს

ამას წინათ გეგეჭკორში მოვიდა სასიხარულო ცნობა, რომ აქაური მკვიდრი, დიდი სამამულო ომის გმირი, იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე, გარიბალდის სახელობის პარტიზანული რაზმის მეთაური ვლადიმერ არსენის-ძე გაბისონია დაჯილდოებულია „გარიბალდის ვარსკვლავით“.

დიპლომში, რომელიც მან ამ მაღალ ჯილდოსთან ერთად მიიღო, აღნიშნულია, იგი დაჯილდოებულია ჩვენი და თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში დიდი მამაცობის გამოჩენისათვისო.

იტალიიდან გამოგზავნილი ეს ჯილდო სხვა საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად ქართველ გმირს მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გადასცა ჩვენს ქვეყანაში ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ ჩამოსულმა ცნობილმა იტალიელმა პარტიზანმა ანელიტო ბარონტინიმ.

ბ. ჭილიუტინი.

ვეფზადმთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისათვის

ჭიდაობა — თავისუფალიც და კლასიკურიც — სპორტის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახეობაა ჩვენს რესპუბლიკაში, ეს არც არის გასაკვირველი — ძლიერთა და მამაცთა სპორტის უდიდეს პოპულარობას საფუძვლად უდვია ქართული ეროვნული ჭიდაობა. რესპუბლიკაში ძნელად ნახავთ სოფელს, სადაც არ იყოს ქართული ჭიდაობაში შეჯიბრებისათვის განკუთვნილი მოედანი, თუნდაც პრიმიტიული. ეს შეჯიბრება კი ძალიან ხშირად იმართება.

უიმისოდ არ ჩაივლის არც ერთი როგორც დიდი, ისე პატარა დღესასწაული სოფლად, უიმისოდ ძნელი წარმოსადგენია სოფლის ახალგაზრდობის დასვენება.

სწორედ აქედან, ჭიდაობის წიაღიდან მოდიან მოჭიდავეთა დიდ ასპარეზზე ქართველი განთქმული ვაჟკაცები, რომელთა სახელები კარგად ცნობილია სპორტის მოყვარულთათვის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. შ. ჩიხლაძე და ა. მეკოკიშვილი, კ. კობერიძე და ს. კანდელაკი, კ. კარტოზია და ვ. ბალავაძე, ა. ქორიძე და ვ. რუბაშვილი, რ. აბამიძე და გ. სხირტლაძე, დ. ციმაკურიძე და მ. ცალქაღამანიძე, ო. ეგაძე და დ. გვანცელაძე, ვ. არსენიანი და ვ. მაჩკალიანი, გ. საღარაძე და ა. ცოფურებოვი, რ. რურუა და შ. ლომიძე, ზ. ბერიაშვილი და ო. ბლიაძე, თ. მაჭავარიანი და ლ. თედიაშვილი სხვადასხვა თაობის მოჭიდავენი არიან, რომლებსაც ღირსეულად მიჰქონდათ და მიიტანთ ქართველი ხალხის გამარჯვების ესტაფეტა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

ქართველ მოჭიდავეებს ყველა უმაღლესი სპორტული ტიტულები აქვთ — მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები. მაგრამ, ვგონებთ, ყველაზე ნაკლები უმაღლესი ტიტულები, რა უცნაურადაც უნდა გვეჩვენებოდეს, მათ მოპოვებული აქვთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე. დიახ, მედლებს სპარტაკიადებზე უდიდესი სიინელით მოვიპოვებთ ხოლმე. არც ეს არის გასაკვირველი, რადგან სპარტაკიადისათვის ყველა მეტოქეს განსაკუთრებულ ყურადღებით ემზადება. და თუ ქვეყნის რიგითს ჩემპიონატში შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ წარუმატებელი გამოსვლა შეიძლება მომავალ წელს გამოვასწოროთ, შემდეგ სპარტაკიადას ოთხ წელიწადს უნდა ველოდოთ. გარდა ამისა, სპარტაკიადაზე, ყოველი მოპოვებული ქულა მიდის რესპუბლიკის მეალიე რიცხობრივად ნაკლები შემადგენლობით გამოდიოდა, ვიდრე მისი ძირითადი კონკურენტები, შეძლო საპატიო მეორე ადგილი მოეპოვებინა. საინტერესოა მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემებიც. 18 სპორტსმენმა რსფსრ გუნდიდან, რომელმაც ჩვენი ქვეყნის თასი მოიპოვა, 56 ქულა მოაგროვა და დაიკავა ორი პირველი და ცხრა მეორე ადგილი. ერთი მონაწილის ქულების საშუალო რაოდენობამ 3,1 შეადგინა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა, რომლიდანაც გამოდიოდა 12 მოჭიდავე, მოიპოვა სამი პირველი ეს ერთი მეორე ადგილი. მოაგროვა 39 ქულა, ამასთან ერთ მონაწილეზე ქულების საშუალო რაოდენობა 3,25 იყო. სახელდობრ ეს უკანასკნელი მაჩვენებელი, რომელიც საქართველოს გუნდს უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე რომელიმე სხვა კოლექტივს, უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ, რომ სპარტაკიადაზე უდიდესია ჩვენი ნაკრების პოტენციური შესაძლებლობანი.

სპარტაკიადისათვის საქართველოს ნაკრებ გუნდს თავისუფალ ჭიდაობაში ამზადებენ გუნდის უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. თიკანაძე. მას ემარებიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ი. ჩხარტიშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტაშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ილურიძე და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შ. ნოზაძე — გამოცდილი დამრიგებლები, რომელთაგან თვითეულს აღუზრდია არაერთი განთქმული ფალავანი. კლასიკურ ჭიდაობაში ნაკრებ გუნდს სათავეში უდგანან ახალგაზრდა მწვრთნელები, მაგრამ გამოცდილი სპორტსმენები დ. გვანცელაძე და ო. ეგაძე, ეს სახელები საკმაოდ კარგად ცნობილია მოჭიდავეთა შორის და უნდა ითქვას, რომ მწვრთნელობის ასპარეზზე მათი პირველი ნაბიჯებიც ფრიად წარმატებითი აღმოჩნდა. მაგალითად, უკვე დ. გვანცელაძის ხელმძღვანელობით 1969 წელს კლასიკურმა მოჭიდავეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კავშირის საგუნდო ჩემპიონატში. შარშან კლასიკურ ჭიდაობაში საგუნდო პირველობა და ქვეყნის თასი არ ყოფილა. მაგრამ სსრ კავშირის პირად ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ძალიან კარგად გამოვიდნენ. ნაკრებთან მუშაობენ აგრეთვე სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები პ. იორდანიშვილი, ლ. კაპიტანოვი, ლ. ძეკონსკი.

ნაკრები გუნდების მეცადინეობისათვის გამოყოფილია „ფალავანთა კლუბის“ ჩინებულად მოწყობილი სპორტული დარბაზი, სადაც შექმნილია ყველა პირობა წვრთნის ნორმალურად ჩატარებისათვის.

ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ გამოცდილი, ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამობრძმედილი სპორტსმენები. თავისუფალ მოჭიდავეთა შორის ესენი არიან ზ. შეყრილაძე, ტ. ალიბეგაშვილი, გ. ყვარელაშვილი, ნ. ხოხაშვილი, ზ. ბერიაშვილი, ლ. თედიაშვილი, ა. ცხოვრებოვი, შ. პაპაშვილი, შ. ლომიძე და სხვები. კლასიკური სტილის მოჭიდავეებში უეჭველად ლიდერები არიან ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი და მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი რ. რურუა, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თ. მაჭავარიანი, ევროპის ეგს-ჩემპიონი ო. ბლიაძე, მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის შ. მორჩილაძე და სხვები.

გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდობაც-ესენი არიან ი. ასლანიდი, ა. სულაქველიძე, თ. მიქელაძე, ი. გიორგაძე, რ. დობორჯგინიძე, გ. დგებუაძე, რ. მარსაგიშვილი, ა. ილურიძე, ზ. გოგიჯიშვილი, მ. ცნობილაძე, ს. ბოგნაძე, ნ. მოდებაძე, რ. მოსეშვილი, ბ. გონგაძე (თავისუფალი ჭიდაობა), მ. ჩიბურდანიძე, გ. ჭელიძე. ო. ტატიშვილი, დ. მეგრელიშვილი, შ. გიგოლაშვილი (კლასიკური ჭიდაობა).

ნაკრებ გუნდებში კანდიდატთა შერჩევის პრინციპი ერთადერთია — წვინდა სპორტული. ჯანსაღი კონკურენცია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე რესპუბლიკის წარმომადგენლად გამოსვლის უფლებისათვის ყველა მოჭიდავეს იმის სტიმულს აძლევს, რომ იფარჯიშონ მთელი ძალების დაძაბვით, ძალონისა და ენერგიის დაუზოგავად სრულყონ თავიანთი ოსტატობა.

განსაკუთრებით გვაფიქრებს მდგომარეობა ყველაზე მსუბუქ კატეგორიებსა და ყველაზე მძიმე წონითს კატეგორიაში. და სწორედ ამას მიექცა ყველაზე სერიოზული ყურადღება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მომზადების გეგმის შედგენისას.

ეს გეგმა გულდასმით მოფიქრებული და ფრიად ვრცელია. იგი ითვალისწინებს იმას, რომ მოჭიდავეებმა სპორტული ფორმის პიკს მიაღწიონ ხალხთა სპარტაკიადის ფინალისათვის. ამგვამად მიმდინარეობს საწვრთნელი შეკრება ბაკურიანში. აქ მთავარია საერთო ფიზიკური მომზადება. მოჭიდავეები ეწევიან ტანვარჯიშს, სპორტულ თამაშებს, ბევრს დადიან თხილამურებით, დარბიან კროსებზე, თებერვალში თავისუფალი სტილის მოჭიდავენი მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, ჩვენს ქვეყანაში პირველად მოეწყობა ახალ — 9 მეტრ დიამეტრიან მრგვალ ხალიჩაზე. შემდეგ დაგეგმილია ამხანაგური შეხვედრები მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებთან. გათვალისწინებულია აგრეთვე გამგზავრებანი საზღვარგარეთ. კლასიკური სტილის მოჭიდავენი გაეგზავრებიან პოლონეთში, ხოლო თავისუფალი სტილისა — თურქეთში, სადაც გამართავენ რამდენიმე სამაჯჩო შეხვედრას ამ ქვეყნების მოჭიდავეებთან. ეს საშუალებას მისცემს ვეტერანებს ერთხელ კიდევ შეამოწმონ თავიანთი ძალები, ახალგაზრდობას კი შესაძლებლობა მიეცემა შეიძინოს მისთვის ესოდენ საჭირო გამოცდილება შეჯიბრებაში. ივნისს დამლევს ნაკრები გუნდის ყველა კანდიდატი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს V სპარტაკიადის ფინალში, რომელიც თავისებური შესარჩევი ტურნირი იქნება. სწორედ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამარჯვებულნი გაივლიან დასკვნითს საწვრთნელ შეკრებას ბორჯომში, შემდეგ კი გამოვლენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

ესოდენ გულმოდგინე მომზადებამ თავისი ნაყოფი უნდა გამოიღოს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ნაკრები გუნდიდ თვითეულ წევრს ესმის მთელი პასუხისმგებლობა სპარტაკიადაში გამოსვლისათვის. თვითეულ მოჭიდავეს უნდა ახსოვდეს, რომ მისი შერკინების შედეგზე დამოკიდებულია რესპუბლიკის საერთო წარმატება. „ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის“ — ეს უნდა გახდეს ჩვენი მოჭიდავეების დევიზი. ჩინებული ფიზიკური მომზადება, მაღალი ტექნიკური ოსტატობა, რკინისებური ნებისყოფა — აი გასაღები სპარტაკიადის მაღალი ღირსების მეედლების მოსაპოვებლად. ამ გასაღების შერჩევაში სპორტსმენებს გამოცდილი მწვრთნელები ეხმარებიან. და ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ ჩვენი მოჭიდავეთა რაზმისაგან დიდ წარმატებას სპარტაკიადის ხალიჩაზე. მათ ძალა შესწევთ პირველობა მოიპოვონ როგორც თავისუფალ, ისე კლასიკური ჭიდაობის ტურნირებში.

ი. სარაჯიშვილი,
საქართველოს სსრ ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე.

მაი ქალა შესწევთ...

ბ. ქარსელაძის მემორიალი

ათი ტურის შემდეგ

22 იანვარს ბელეფონთან სპეც. კორ.). ლეს დაიწყო საკავშირო თასის გათამაშების მესამე ეტაპი სამთო-სათხილამურო სპორტში გაზეთი „ლენინური“ პრიზზე. პირველი ორი ეტაპი შედგა ტერსკოლსა და ალმა-ატაში.

გიგანტურ სლალომში ქალთათვის (დისტანცია 1.400 მეტრი) ყველას აჯობა სსრ კავშირის ექსჩემპიონმა ნ. ხალზოვამ (კემეროვო, „ბურევესტნიკი“) — 1 წუთი და 37,8 წამი, მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა გ. შიხოვამ და ლენინგრადელმა ი. ტურუნტაევსკაიამ. ლ. გოგოლაძე მეცხრე იყო — 1.46,0.

ვაჟთა შორის გიგანტურ სლალომში (დისტანცია 1.500 მეტრი) წარმატება ხვდა თბილისელ ი. ნასყიდაშვილს („ბურევესტნიკი“) — 1.31,6. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის თეთმეტგზის ჩემპიონი ვ. მელნიკოვი (კიროვი, „ტრუდი“) — 1.32,8, მესამეზე — პირველი მ. ლოგინოვი — 1.33,4.

ფინიში გამარჯვებით

ვარშავაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის, მიძღვნილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 26 წლისთავისადმი.

საბჭოთა კავშირიდან ტურნირში მონაწილეობდა მოსკოვის „დინამოს“ გუნდი. წინასწარ შეხვედრებში დინამოელებმა დაამარცხეს ბუქარესტის, სოფიის, ვარშავის „ლეგიის“, ბელგრადის გუნდები და ფინალში გავიდნენ. დასკვნითი ასპარეზობა საბჭოთა კალათბურთელებს ჰქონდათ ვარშავის აზს გუნდთან. გიმიმარჯვეს 101:79 (50:36) და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მესამე ადგილი დაიკავეს სოფიის კალათბურთელებმა.

რამდენიმე სტრიქონით

● **კიევში** შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი კალათბურთში ადგილობრივი სკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკის“ ვაჟთა გუნდებს შორის. გიმარჯვეს სპარტაკელებმა 70:68.

● **მოსკოვის** ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი დათანხმდა იყოს ჟადრაკში გაზეთ „კრასნოიარსკი რაბოჩისა“ და ონგრეთის გაზეთ „მადიარ ხირლაპის“ მკითხველთა შორის მიმწერრით საერთაშორისო მატჩის არბიტრი.

● **ავსტრიაში** დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ბობსლი-4-ში. წარმატება ხვდა რუმინეთის ეკიპაჟს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ — ი. პანტური, ი. პანგერი, დ. რასკი და დ. ფოკშენინი. უკანასკნელ რბოლაში მათ აჩვენეს ჩინებული დრო — 1 წუთი 04,38 წამი.

გერმანულ ენაზე

ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღო შესანიშნავი საჩუქარი. — შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, სრული პოეტური თარგმანი გერმანულ ენაზე საქართველოს საზოგადოების დაკვეთით და ხელშეწყობით შეასრულა ცნობილმა ავსტრიელმა პოეტმა ჰუგო ჰუპერტმა. 1955 წელს ბერლინში გამომცემლობა „რიუტენ უნდ ლოენინგმა“ გამოსცა ჰუპერტისეული თარგმანი წიგნს თანდართული ჰქონდა მთარგმნელის მიერ შესრულებული წინასიტყვაობა და შენიშვნები, აგრეთვე მასში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, პროფესორ ს. ქობულაძის ილუსტრაციები.

აღნიშნული თარგმანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანელ მკითხველებში, რის გამო გადაწყდა მისი მეორედ გამოცემა. 1970 წლის ბოლოს გამომცემლობა „რიუტენ უნდ ლოენინგმა“ მეორედ გამოსცა ჰუპერტისეული თარგმანი, იმავე წინასიტყვაობისა და შენიშვნების დართვით, მხოლოდ ამჯერად წიგნში დაიბეჭდა მხატვარ ლევან ცუცქირიძის ილუსტრაციები. წიგნის გარეკანისა და შიგა გაფორმებაც ეკუთვნის ლ. ცუცქირიძეს.

სპეციალისტის კომენტარი

იშვიათი ოპერაცია

კალუგის საოლქო გაზეთმა „ზნამიამ“ ამას წინათ გამოაქვეყნა ცნობა უნიკალური შემთხვევის შესახებ. სასკოლო არდადეგების ერთ-ერთ დღეს თოთხმეტი წლის ვიქტორ კოლესნიკოვი, მე-17 სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე, მთიდან თხილამურებით რომ ეშვებოდა, თხილამურის ჯოხს წამოეგო. ჯოხმა მაგ როგორც ისარმა მთელ სხეულში გაუარა — მუცელში რომ მოხვდა, ზურგის მხარეს გავიდა.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბიჭი ქალაქის მე-3 საავადმყოფოში მიიყვანეს. ქირურგი ლარისა კონსტანტინეს ასული ზელენსკაია სასწრაფოდ შეუდგა ოპერაციას. მას ეხმარებოდნენ ქირურგი-ტრავმატოლოგი ვალერი ივანეს-ძე ჩერემისინი, ექიმი-ანესთეზიოლოგი კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ვორობიოვი, ქირურგიული განყოფილების გამგე ნინო ვალერიან ასული კრაპუხინა. თითქმის სამ საათს გრძელდებოდა ოპერაცია ალუმინის ავბედითი „ისრის“ ამოსაღებად. — თავდაპირველად, — მოგვითხრობს ქირურგი ლ. ზელენსკაია, — მოგვიხდა ჯოხის გადაჭრა ხერხით, რომელსაც ჩვეულებრივად ვიყენებთ ამპუტაციის დროს — სხვანაირად მისი ამოღება ძალიან საშიში იყო. შემდეგ დაიწყო ოპერაცია...

ახლა ვიქტორ კოლესნიკოვი გამოჯანსაღების გზაზეა, გუნებაგანწყობილება კარგი აქვს, ექიმების ნებართვით უკვე დგება ლოგინიდან.

„იზვესტიის“ კორესპონდენტმა სკლიფოსოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ა. კუზმიჩოვს სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა კალუგაში მომხდარი შემთხვევისათვის.

— ეს შემთხვევა უიშვიათესია, — თქვა ალექსანდრე პავლეს-ძემ. — ჩემი როგორც ქირურგის მრავალი წლის პრაქტიკაში ასეთი რამ არ მომხდარა. სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაშიც ასეთი შემთხვევები თითებზე ჩამოსათვლელია. მაშასადამე, მით უფრო გვაქვს საბაბი მიეულოცოთ ავადმყოფს, რომ შესანიშნავი ექიმების ხელში მოხვდა. ესარგებლობ შემთხვევით და მინდა სულით და გულით მივულოცო ლარისა კონსტანტინეს ასულ ზელენსკაიას და მის კოლეგებს წარმატება ურთულეს ოპერაციაში. ავადმყოფობის ისტორიას დაწვრილებით რომ არ ვიცნობ, ძნელია ვილაპარაკო დეტალებზე. მაინც აშკარაა, რომ სიცოცხლისათვის დიდმნიშვნელოვანი ორგანოები, მაგალითად, ღვიძლი, დაზიანებული არ ყოფილა. თორემ ყოველი ოპერაცია უკვე ზედმეტი იქნებოდა.

და კიდევ ერთი რამ: ასეთი ოპერაცია შეუძლებელი იქნებოდა, თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობა და სასწრაფო დახმარების მოწესრიგებული სისტემა რომ არა. ქირურგების მაღალ კვალიფიკაციასთან შეხამებით ყოველივე ეს მოწმობს კალუგაში სამედიცინო მომსახურების კარგ ორგანიზაციას.

სურათზე: ქირურგი ლ. ზელენსკაია და ვიტია კოლესნიკოვი.

ფოტო ვ. პეტროვისა (კალუგა). („იზვესტია“, 21-I).

სასამართლო დარბაზიდან

ჩვენების გადათქმისათვის დაისაჯნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). სოფელ მერეთის მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ნელი ნიფარიძემ ამავე სოფლის მცხოვრებლებს შოთა ასანიძესა და დეშური ორდენიძეს თითო ტომარა პურის ფქვილი მიჰყიდა. პირველს ზედმეტად 1 მანეთი და 10 კაპიკი, ხოლო მეორეს — 2 მანეთი და 30 კაპიკი გადაუახდევინა.

წინასწარ გამოძიებაში ორივემ დაადასტურა ეს ფაქტი. მაგრამ სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე შ. ასანიძემ და დ. ორდენიძემ ცრუ ჩვენება მისცეს. — ნ. ნიფარიძემ ზედმეტად გადახდევინებული ფულში სპპაინ მარკები დაგვიბრუნაო, — უსინდისოდ განაცხადეს მათ.

ჭიათურის სახალხო სასამართლომ ახლახან განიხილა ცრუ ჩვენების მიმცემთა საქმე. მათ თითო წლით შრომა-გასწორებითი მუშაობა მიესაჯათ.

სპორტი

ტელევიზია

22 იანვარი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „ანათებს ვარსკვლავი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მეგობარ-ამხანაგებზე“ (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — მოსწავლეთათვის — „ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო“, 19.05 — საბჭოთა რესპუბლიკების სატელევიზიო ფესტივალი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი. აზერბაიჯანის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ქართული ხალხური მელოდიები და რიტმები, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ სიმონოვი“, 22.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ნაწყვეტები სახალეტო სპექტაკლებიდან.

23 იანვარი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინონარკვევი, 11.10 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — მხატვრული ფილმი „ივლისის წვიმა“, 12.25 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლო!“ — ორჯონიკიძის რაიონი (გამეორებით), 14.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი“ (გამეორებით), 15.10 — კინონარკვევი, 15.30 — „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს“, 16.20 — კინონარკვევი, 16.30 — ციკლიდან — „დიადი წლების ქრონიკა“ — 1950 წელი, 16.50 — კინონარკვევი, 17.05 — მოსწავლეთათვის — „თქვენზე ფიქრებში“, 17.40 — კინონარკვევი, 17.50 — ციკლიდან „ოქტომბრის დელეგატები“, 18.00 — კინონარკვევი, 18.10 — „საბჭოთა საქართველო-50“ — გადაცემა „ძველი სამყაროს დასასრული“ (ლიტერატურული თეატრი), 19.00 — ახალგაზრდული სიმღერების რესპუბლიკური ფესტივალის ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ციკლიდან — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლო“ — წალკის რაიონი, 22.20 — მხატვრული ფილმი — „სახელმწიფო ბორტმეკანიკოსი“.

რადიო

23 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ვ. აზარაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — შ. გუნო. მუსიკა ოპერა „სავის დედოფლიდან“, 11.05 — ბ. კვერნაძე. მუსიკა კინოფილმებიდან, 11.45 — ს. პროკოფიევი. კანტატა „ალექსანდრ ნეველი“ და სიმფონიური სიუიტა „ვალსები“, 12.45 — კორესპონდენტის ნაამბობი „ხორშის ახალი ცხოვრება“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — მსუბუქი მუსიკა, 14.00 — რ. გვეტაძე. ინსტრუმენტალური მოთხრობები, 15.00 — ს. ცინცაძე. მეხუთე სიმფონიური კვარტეტი, 15.30 — სატირულ-იუმორისტული რადიოოპერეტა „შოლტი“, 16.15 — „საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. საყმაწვილო ოპერა „ქაჯანა“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ბრაზსი. პირველი სიმფონია დო მინორი, 19.40 — „მხატვრული კითხვის ოსტატები“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ორერასა“ და ლ. ივანოვის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?!“, 21.45 — კონცერტი კ. სენ სანსის ნაწარმოებებიდან, 23.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები.

ბილეთები

22 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „ოთელო“; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფეოლა; გრიბოედოვის სახელობის — ერთადერთი მოწმე; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დონ სეზარ დე ბაზანი (№ 35 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

**ბ. ჭილიუტინი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, ბ/მგ მდივნის — 99-72 80, ხემდივნისა — 99 66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93 22 93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55-01, ინფორმაციის — 93 16 90, ხატვისა